ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი:**18-01183191530**
თარიღი: **15/11/2018**

ადრესატი:

ნინო ქობულაძე
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-I-II კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენი 2018 წლის 06 ნოემბრის N60-01183101008 წერილი და თანდართული, მოქალაქე ივანე ბიწკინაშვილის მიერ წარმოდგენილი სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის (AR1628189) (ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. №15, სარაჯიშვილის გამზირი, ნაკვეთი 08/078 ს.კ.: 01.19.33.013.037) (II კლასი, მრავალფუნქციური კომპლექსი, სამრეწველო ზონა 1) გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

გაცნობებთ, რომ გამწვანების პროექტის საინფორმაციო ბანერზე, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირად მითითებულია ნიკოლოზ შეროზია, შესაბამისად, აუცილებელია წარმოადგინოთ, ნიკოლოზ შეროზიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ან მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელ პირად მიეთითოს მოცემული საკადასტრო ერთეულის (01.19.33.013.037) მესაკუთრე.

ასევე, მოგახსენებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა, ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების პროექტის ფარგლებში, ერთი ტიპის მწვანე ნარგავების ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანი. ასევე, მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს ხეების დარგვას ბუჩქებთან და ყვავილებთან მიმართებით. შესაბამისად, არქიტექტურული პროექტის შეთანხმების ეტაპზე, წარმოსადგენ გამწვანების პროექტში გასამწვანებელი მცენარეების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგი პროპორციით: 10-12 კვ. მეტრი 1 ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, პირამიდული კვიპაროსი, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), ხოლო 20-25 კვ. მეტრი დანარჩენი წიწვოვანი და ასევე ფოთლოვანი ხეებისთვის; ამდენად, განმცხადებელმა გამწვანების პროექტში უნდა გაითვალისწინოს წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები (ფოთლოვანის დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში- არანაკლებ 3 მეტრი (ნერგის გარშემოწერილობა არანაკლებ- 14 სანტიმეტრი)).

ასევე მოგახსენებთ, რომ განმცხადებელმა დასარგავი ხე-მცენარეების სახეობა უნდა აარჩიოს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი) (მოვალეობის შემსრულებელი)